

რატომ და რისთვის არის მიზანშეწონილი საქართველოში
ლიბერალური განათლების მოდელის დანერგვა

სოფიო ჩხეიძე

*სამაგისტრონაშრომიწარდგენილიაილიასსახელმწიფოუნივერსი
ტეტისმეცნიერებათა და ხელოვნების
ფაკულტეტზემაგისტრისაკადემიურიხარისხისმინიჭებისმოთხ
ოვნებისშესაბამისად*

განათლების ადმინისტრირება

სამეცნიეროხელმძღვანელი: გიორგი გახელაძე (მოწვეული პროფესორი)

ილიასსახელმწიფოუნივერსიტეტი

თბილისი, 2015

განაცხადი

*”როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ,
რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების
იერაქმდევამოქვეყნებულ,
გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს,
რომლებიც ნაშრომში არარის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამ
ისად.*

სოფიო ჩხეიძე

6 ივლისი, 2015

აბსტრაქტი

დღევანდელ დღეს, გლობალიზაციისა და სწრაფი ტექნოლოგიური განვითარების ეპოქაში, ადამიანების ყოველდღიური ცხოვრება ცვალებადია. იცვლება სამუშაო ბაზარზე არსებული მოთხოვნები და შესაბამისად ცხოვრების სტანდარტები. იმისათვის, რომ ფეხი აუწყოს ადამიანმა ცვალებად პირობებს, მას მრავალმხრივი განათლება და კომპეტენცია უნდა ჰქონდეს. ლიბერალური განათლების მოდელი განათლების ის მოდელია, რომელიც სტუდენტს, არა მხოლოდ კონცენტრირებულ ცოდნას აძლევს ერთ სფეროში, არამედ აცნობს სხვა სფეროებს, და შედეგად უვითარებს კრიტიკული და ლოგიკური აზროვნების, კომუნიკაციისა და მოქნილობის უნარ-ჩვევებს. შედეგად, უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე, თავისუფალი მეცნიერებების ბაკალავრიატის ხარისხის სტუდენტები მრავალმხრივი კომპეტენციის სამუშაო ძალას წარმოადგენენ. ლიბერალური განათლების მოდელის დანერგვა საქართველოში მიზანშეწონილია მისი ეფექტიანობისა და შედეგიანობის გათვალისწინებით, როგორც საქართველოში არსებული მდგომარეობის ანალიზის, ასევე სხვა ქვეყნების გამოცდილების საფუძველზე.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ლიბერალური განათლება, საჭირო უნარ-ჩვევები, ბაკალავრიატის ხარისხი, საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა;

Abstract

Nowadays, in the world of globalization and rapid technological changes, everyday life of human beings is constantly changing. Market demands of human resources are changing, and thus are changing the required standards. In order for a person to go with the flow of these changes, she/he has to have a broad knowledge and wide variety of competencies. Liberal Arts educational model provides students with broad range of skills, like critical and creative thinking, communication and flexibility; other than this, it gives student not only concentrated knowledge in one subject, but acquaints him/her with wide range of themes. As a result, students with Liberal Arts Bachelor's Degree, represent the work-force, which are in possession of extensive range of competencies. Based on the analyzes of current situation in Georgia, as well as taking into consideration experiences of other countries' experiences, it can be concluded that implementing Liberal Arts educational model in Georgia will be both effective and productive.

Key words: Liberal Arts, necessary skills, Bachelor's Degree, current situation in Georgia.